

რუსეთთან ბალკანეთის საქმეთა შესახებ. ამის გამო რუსეთმა ყოველთვის იცოდა სამთა კავშირის მოქმედება. მიუხედავად ამისა გერმანიის სურდა იტალიისთან კავშირის დაკვა. იტალიის ნეიტრალიტეტმა სარგებლობა მოუტანა გერმანიას, რადგან მას შეეძლო სურსათის მიღება, გაზეთი სასტიკათ კი ცხავს იტალიის პოლიტიკურ მოღვაწეებს.

მოლაპარაკება გერმანიასა და ამერიკის შორის.

ლონდონი. 17 მაისი. ამერიკის ნოტის საბასუბოთ გერმანია სახოგს ამერიკის მთავრობას აღმოავლინა მას წყალქვეშა ნავების საკითხის გადაწყვეტა. ამისთვის საჭიროა გამოირკვეს როგორი ტიპის გემი იყო ლუზიტანია. სამგზავრო გემი თუ დამზარებელი კრიტიკის, რომელსაც კანადის ჯარი და სამხედრო სურსათი მოქონდა. ამისთანავე სასურველია გამოირკვეს საკმაო იყო თუ არა ლუზიტანიის საშველი ნავები; გერმანია თანახმაა გემების დაღუპვით მიყენებული ზარალი გადაიხადოს.

პაპისადმი ასპარაზი.

პეტროგრადი. 19 მაისი. კავკასიის ჯარის შტაბისადმი. ზღვის პირის გეზით და კოროზის ხეობაში სროლა. ოლთისის გეზით ჩვენმა რაზმმა გაფანტა ოსმალოთა ჯარის ნაწილები ალატონის რაიონში. ვანის გეზით სოფ. მუღლავესთან ბრძოლის შემდეგ ოსმალონი დასავლეთისკენ უკან იხივნენ.

აღმოსავლეთის ასპარაზი.

პეტროგრადი. 19 მაისი. მთავარ-სარდლის შტაბისადმი. შავლის რაიონში თვალსაჩინო ცვლილება მრ მომხდარა. სოფ. კურტოვიანის დასავლეთით, ტრავლიანი-გაილიშის ფრონტზე ბრძოლა გრძელდება, 18-ს ხელჩართული ბრძოლის შემდეგ ჩვენ დავიკავეთ უკანასკნელი ძლიერ გამაგრებული სოფელი, რომელსაც გერმანელები თავდაობდნენ იცავდნენ ვისლის მარცხენა ნაპირზე პორტი-ლოდის ცხარე ბრძოლა იყო. პილიციის ჩრდილოეთით დღის 4 საათზე მტერმა შაპინის ვაზის დასაპარება და მრავალი ძალებით სასტიკი იერიში მოიტანა ჩვენ პოზიციებზე ბზურაზე, ვიტკოვიტთან, ბროხოვთან. სოხაჩევთან, კოზლოვთან და განსაკუთრებით ქვემო რაჯკაზე მიზერკა და ვოლიაშილოვსკაიასთან. მიუხედავად შაპინის ვაზის ხმარებისა, რომლის სენიცი ფრონტის უკან 30 ვერსზე უშვებდა, ყველა იერიშები მოვიგერიეთ. მტერი გლიციში წარსულ დღეებში ემზადებოდა და 17-ს იერიში მოიტანა პერემიშლის № 7 ფორტიდან № 11 ფორტამდე. 18-ს დღის განმავლობაში მტერმა შესძლო ჩვენ აღდგომა მოახლოვება და შეიჭრა მე-7 ფორტში. აქ გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა, რომელიც ნაშვადღევის ორ საათამდის გაგრძელდა. მტერი დღის ზიანით უკეთ გაქცეოთ. გადარჩენილები კი რიცხვით 23 აფიცერი და 600 ჯარის კაცი ტყვეთ წამოვიყვანეთ. დნესტრის ფრონტზე მტერმა რეზერვები მოიშველია სტრის რაიონში, სადაც ბრძოლის შემდეგ ჯერ კიდევ გამოუკვეცილია. მდ. სეიცაზე ჩვენი ჯარი წარმატებით მოქმედებს.

ამ რაიონში 14 ამ თვიდან მოკიდებული ტყვეთ წამოყვანილთა რიცხვი უდრის 10422 ჯარის კაცს და 238 აფიცერს.

დასავლეთის ასპარაზი.

პარიზი. 19 მაისი იზერის ფრონტზე არტილერიის ბრძოლა არასის ჩრდილოეთით ჩვენ წინ წაიწიეთ. სუშეს გზადგან არანსისკენ ჩვენ დავიკავეთ იმალონის წისკვილი და მტრის სანგრები წისკვილიდან სუშეს შტაბის ქარხანამდე. აქ ტყვეთ წამოვიყვანეთ 50 კაცი. ლაბირონტის რაიონში ჩვენ გავმავრეთ აღებული პოზიციები ლეპრეტრის ტყის ნაპირზე არტილერიის ბრძოლა.

იტალია.

რომი. 18 მაისი. გუშინ საღამოს ჩვენი დირექტორი გადაფრინდა პოლოზე და რამდენიმე ყუბმარა ჩამოავლო სადგურზე, ნავთის საწყობებზე და არსენალზე. ყველა ყუბმარა გასკდა. დირექტორს მტერმა ცეცხლი დაუშინა, მაგრამ უვნებლად უკან დაბრუნდა. დღეს დღისა ჩვენმა საზღვაო ფლოტმა ესროლა მოხვედრონეს ნავთსადგურს და დიდი ზიანი მიყენა. იტალიის ფლოტი წამოვიწია რამდენიმე ფევილით დატვირთულ იალქიან გემს და ჩასძირა. იტალიელებს ზარალი არ უნახავთ.

გაღვიძის შტაბის ცნობა.

პარიზი. 18 მაისი. მტრის არტილერია სასტიკათ ესროდა ჩვენ პოზიციებს სოფ. ნორდშოტეში, ჩვენმა ბატარეებმა მტერი გაიფანტა.

ფევილინი იმალონი.

ლონდონი. 18 მაისი. ცეცხლიდან გამოჩნდნენ რამდენიმე ბრეტელის ახლოს ზღა ლონდონის ახლო უბნებში, მრავალი ადგილას ცეცხლი გაჩნდა, მაგრამ დანამდვილებით არ იციან მიზეზი: ცეცხლინებით თუ სხვა მიზეზით გაჩნდა ცეცხლი.

ფევილინი იმალონის გაფრთხილება.

სტოკჰოლმი. რადგანაც ალანდის ზღვაში ნაღვები აღოჩნდა, ამის გამო მათ სამხედროთა გავზავნილ ა სამხედრო ფლოტი.

ბაიის ავთომობილი.

ლონდონი. 19 მაისი. ექიმებს რჩევით ედვარდ გრეი იძულებულია დროებით სამსახურს თავი დაანებოს. საგარეო საქმეთა სამინისტროს დროებით განაგებს ლორდ კრიუ. საკაროებისამებრ მას დაეხმარება მარკიზი ლენსლოუნი.

წაალაგება ნავი ეზის ზღვაში.

ათინა. 15 მაისი. სარწმუნო წყაროდან იუწყებიან, რომ წყალქვეშა ნავი, რომელიც ლენოსთან გამოჩნდა და მუდროსის ყურეში შესვლას სცდილობდა, მოკავშირეთა ფლოტმა აღმოაჩინა და ამ ფლოტს გაექცა. გალიპოლის ნახევარკუნძულზე მოკავშირენი წინ მიიწვივნენ მიუხედავად იმ მრავალ დამაკოლებათა, რომელიც მათ გზაზე ზღვდნენ. ოსმალონი უკან იხივნენ.

იტალიის შტაბის ცნობა.

რომა. 19. ტრიოლისა და ტრენტინოს საზღვრებზე ჩვენი ჯარი წინ მიიწვივნენ. ალის ჩრდილოეთით 6 კილომეტრზე ჩვენ დავიკავეთ სტრატეგიული ადგილი, რომელიც როვერეტოზე ბატონობს. ბელვედერში ჩვენი ჯარი 8 კილომეტრით მიუახლოვდა ბორგოსოლიდოს. ჩვენ დავიკავეთ ბელვედერის მთა, რომელიც ფერადიპრიმიერზე ბატონობს. უდინის პროვინციაში მტერმა 5 ჯ რ მოიტანა იერიში. ჩვენ ხუთივე იერიში მოვიგერიეთ. ჩვენი ზარალი უმინიმუმია.

რუსეთის გემის ჩაძირვა.

ლონდონი. 18 მაისი. რუსეთის გემის „მარია“ კამანდა მოვედა ბერლინში. წარსულ პარასკევს გემს წამოვიწია გერმანიის წყალქვეშა ნავი. წყალქვეშა ნავმა გემი ჩაძირა და კომანდა ფართო ზღვაში დასტოვა. კამანდა ედინბურგში მოვიდა.

დ ა რ დ ა ე ლ ი.

ლონდონი 18/V. 13 და 14 დარდნელში ოპერაციების დროს ჩვენ ავაფეთქეთ ერთი სანგარი. საღამოთი ოსმალოებმა დავიკავეს დანგრეული სანგარი. ხელჩართულ ბრძოლის შემდეგ ჩვენ ეს პოზიციის იხვე დავიკავეთ და ოსმალონი ვიძულეთ თავისთვის ეშველათ. 17-ს ბრძოლა გრძელდებოდა. მტრის ძლიერი რაზმი ეკვეთა ჩვენ ჯარს, რომ თავისი დროებითი გამარჯვებით ესარგებლნა, მაგრამ რადგან მთვარიანი ნათელი ღამე იყო, მტერი ვარკვევით მოჩანდა. ჩვენმა არტილერიამ მტერს ორი მხრიდან დაუშინა. მტერი შედრკა. ოსმალოთა მეოცე ხაზი, რომელიც გრენადერებიდან შესდგებოდა, პირველ ხაზს პროექტორებიდან უნათებდა. მტერს მოუკვდა არა ნაკლები 2000 კაცი, ჩვენი ზარალი 300 უდრის. ლამით მტერმა ორჯერ მოიტანა იერიში ჩვენს პოზიციებზე, მაგრამ ვერავითარ მიზანს ვერ მიადგო. 15-ს ფრანგების ჯარმა დაიკავა ოსმალოთა მარცხენა ფრთაზე საგულისხმო რედუტი. ოსმალონი გაუდემებით ესროდნენ ფრანგთა ახალ პოზიციას. ოსმალოთა იერიში ფრანგებმა მოაგერიეს.

გამიანის ჩაძირვა.

ლონდონი 18 მაისი. გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩაძირა გემი „დიქსონა“, იზანტის მახლობლათ. კომანდა გადაარჩა. გემზე „გლენდი“ გლზგოდან და „ლისნე“ ოპორტოდგან ჩაძირა გერმანიის წყალქვეშა ნავებმა. კომანდა გადაარჩა. წყალქვეშა ნავის ნაღვმა ჩაძირა გემი „ზემერგი“. კამანდა გემმა „ტრევიარდემ“ გადაარჩინა.

ნაღვიძის არხივალაგობი.

სოლონა. 18 მაისი. საზღვაო სამინისტრო იუწყება, რომ რადგანაც არხივალაგობი მსურავი ნაღვები აღოჩნდნენ, ამის გამო აქ საშიშოა გემების მიმოსვლა.

სურსათ-გაწითიდან.

პისმარკი იტალიის უფლებების შესახებ.

„კორიერე დელა სერა“ ისტორიულათ ამტკიცებს იტალიის უფლებების ტრისტისა და ისტრიაზე. სხვათა შორის ამის შესახებ მას მოყვას ბისმარკის აზრს, რომელიც მან გამოსთქვა 1866 წელს. ბისმარკი სწერს 1866 წელს პრუსიის საელჩოს იტალიაში:

„ამ წლის დამდეგს გერმანია გაერთიანებული იმპერია იქნება. მასთან იტალიის საუკეთესო პრინციპები სხვის წყალობა არ უნდა დარჩეს. წინასწარ შეთანხმებულია ამით ორადე სახელმწიფოთა დასტრატეგის, რომ მათ თავიანთი მოვალეობა არ აქვთ შეგუბული.“

სმელთა შუა ზღვაზე ბატონობა, ექვს გარეშე, იტალიას უნდა ემთხვეოდეს, რადგანაც მისი ნაპირები 10 ვერსეტს სიგრძით მის მეზობელ სახელმწიფოსთან შედარებით. სმელთა შუა ზღვაზე ვერც ერთი საფოსტო გემი შეეძლება გუნჯეს; დაფორმის, ნავაფის; მალურ მის; ვესტევის და ტრევისტ.“

ზავის პირობები.

ვერონის პრესაში ხშირათ უხვდებით ზღაბრულ პირობებს ზავის შესახებ. „ნიუ იორკ ტაიმსში“ ამის შესახებ წერილი მოათავსა გენერალმა მალეტრამ, რომელიც ერთადერთი პირია ეოფრისკან რწმუნებული, რომ სწერს ომის შესახებ.

თავისთავით იგულისხმება, რომ გენერალი თავდაქერლათ მსჯელობს და მხოლოდ იმეთ ზავზე ლაპარაკობს, რომელიც გერმანიისთვის დაბეჭვიანებული იქნება.

ეს პირობები შემდეგში გამოიხატება: გერმანია უნდა დაუბრუნდეს თავის ბუნებრივ საზღვრებს, უნდა შემოსვლილი იქნეს გერმანიის ბატონობა მთელ იმ ბაზარზე და უნდა გათავისუფლდეს ის პრუსიის მილიტარიზმის გაყვანილთა. გერმანიის დასავლეთ საზღვრათ უნდა გახდეს რეინი. ფრანგებმა უნდა დაიკავონ არა თუ მარტო კელნი და სტრასბურგი, არამედ კობლენცი, მიუნხენი და მანჰაიმი, რომ ამით უზრუნველ ყონ გერმანიის მხრით თავდაცემა. ელზას-ლორენის შამიონების შემდეგ სამშვიდობო კოგრესმა უნდა გაანაწილოს რეინის დანარჩენი ტერიტორია.

ვერონაში მშვიდობის დასამყარებლათ აუცილებლათ საჭიროა ჰოპენკოლერნების გაძეგება.

სამხედრო პარტის ზეგავლენით, გერმანიამ დიდი შეცდომა ჩაიდინა. ამ დინასტიის მოშორებით გერმანია გასწორებს თავის შეცდომებს.

იტალიის სამხედრო ძალები.

ვერონის პრესას ფრიად აინტერესებს იტალიას სამხედრო მომზადება.

„დელი-მაილის“ სიტყვით იტალიამ უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში სამხედრო საჭიროებისთვის დახარჯა 45 მილიონი ვირ. სტერლინგი (450 მილ. მანეთზე მეტი) ეს ხარჯი მან გასწავა ფლოტისა და ჯარის ჯეროვანათ მომზადებისათვის. იტალიის არტილერიაში შეხედებით, როგორც საფრანგეთის, ისე გერმანიის ყალიბის იარაღებს. იტალიის 16 დიუმიანი ჰაუბიცა არაფრით არ ჩამოუვარდება გერმანიის ჰაუბიცებს. მისი უპირატესობა ის არის, რომ გერმანიის ჰაუბიცაზე უფრო მსუბუქია.

იტალიის საპაეო ფლოტი თუმცა უკანასკნელ დრომდი სუსტი ყავდა, მაგრამ დღეს ეს ფლოტიც საგულისხმო ძალას წარმოადგენს.

მეც მათქმევინეთ!

არჩევნები ჩვენს დაწესებულებებში სწორი მაჩვენებელია ჩვენი საზოგადოების ზნეობრივ და კულტურულ ვითარებისა. არჩევნები სწორეთ რომ ამერიკულის წესებით ხდება და გატაცება უმაგლითა ხოლმე, საზოგადო ორომტრიოლში გვაიწვევს სინაღვილე და სიმართლე. ჩვენში საკმაო ბუღობენ კიდევ ძველი ინსტიტუტები, რომლებიც გონიერებს გვიშამენ, ტაქტს გვირევენ და ტიპი ახალის ქართველსა, რომელსაც შეგნებული აქვს თანამედროვე ცხოვრების ადლო, კლავ სანატრულ ტიპად ხდება. ელირსება თუ არა ამ ახალ ტიპს განსა-

სახიერება და განკაცება ჩვენში—ი, სკოთხი, რომელიც მაჯალაჯუნასებრ ვაწვეს ზედ.

ჩვენ წინათაც გვაყავდნენ მოღვაწენი, რომლებიც ძველ საქმიანობასთან ერთად ისტორიას ჩაზარდნენ. განდა ახალი ჯუარის საქმიანობა, რომელიც ახალ ადამიანებს მოითხოვს, ახალ იერს, ახალ სახეანარ მკლავის მოქნევს. მაგრამ საქართველო სავსეა საფლავის მონხრელებით, რომლებიც ახალ საქმისთვის ძველ მიცვალბებულებს სახრიან საფლაგბიდან, ცოცხალ საქმეზედ ჩონჩხები სურთ წამოასკუპონ.

ვასაც აშკარათ არ აქვს გამოარკვეული განსხვავება ძველ ტიპის ადამიანებსა და ახალ მოღვაწეთა შორის, რომლებიც ჩვენ ეხლა გვჭირია, იგი ვერც კი გვიგებს, რას უნდა მიველტოდეთ ჩვენ ახალ საქმიანობაში, ახალ ადამიანების შეფასებაში. ტიპი ძველი ქართველი მოღვაწის—ღარობი იყო. იგი დახასიათდება ერთი სიტყვით—უტოლიანობა, რომელიც უწიქმედობას უდრიდა. და ეს არც ვასაგვირგელია. როგორ შეიძლება, მაგალითად, ძველი ქართველი ფინანსისტი მტოდენ კოფილიყო, მოქმედი ყოფილიყო, როცა ჩვენში არ იყო ფინანსები, მრწველობა, ვაჭრობა. რამდენი ჩვენი თაობა ჩაივდა საფლაგზე ისე, რომ არც კი ჰქონდა ახსნილი უბრალო ქუშმარტება ეკონომიური პრაქტიკისა. იქნება ანეგლოტი იყოს, მაგრამ ჩვენ გყვანდნენ ბანკის მოღვაწენი, რომლებიც აქციას ობლიგაციად ვერ არჩევდნენ. მათ დამისახურეს ჩვენი დიდი მადლობა—და ეს იმითომ, რომ უყვარდათ რა უსაზღვროთ თვისი სწამბოლო, რომელს ანდაზის თანხმით აყეთებდნენ მას, რაც კი შეეძლოთ.

მაგრამ დრონი იცვალენ, ჩვენმა მოღვაწეებმა ცხოვრბამ წინ წაიწია და როგორც აუცილებელი შემდეგ—ამის ახალი ადამიანებიც მოჰყვნენ. გასაოცებელი მათ ნორჩა და დრო მოკლე მოღვაწეობაში, ცხადია, ჯერ არაფერია. საქართველოს გაბედნიერება მათ ასე ადვილათ არ შეუძლიანთ, რადგანაც ამისთვის რამდენიმე კაცსა კი არა, რამდენიმე მოღვის მუშაობა საჭიროა, მაგრამ მათ შეიტანეს საქმეში ახალი შეხედულება და ჩვენ, როგორც ნამდვილი კონსერვატორებს გულის სიღრმეში—არ გავსმის ეს ახალი შეხედულება.

ჩვენს საზოგადოებაში ამ ყმათ ყველაზედ მეტათ საურთიერთო ნდობის ბანკს არჩევნებზედ ლაპარაკობენ და ჩვენი აზრი იმ ლაპარაკით გესურს დავასუბათოთ, რომელიც ზღვა ამ არჩევნების შესახებ. რამდენიმე წლის წინეთ—ამომავლ ზოგიერთები — ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკს 1600 ინტელიგენტი წევრი ჰყავდა. მოვიდა დათეშიძე და 1600 წევრი ორასამდე ჩამოვიდა. განა ამას საქმის წინმსველლობა ჰქვია? ეს ტიპიური ძველი ქართველის მსჯელობა. იმ ცნობათაგან კი რომელიც ჩვენ ხელთ არის და რომლებიც ამ ბანკის მოღვაწეობას შეეხება—სჩანს, რომ ინტელიგენტებმა მართალია იკლეს ამ ბანკში, მაგრამ სპავიეროთ იმატეს ვეპარა და მრეწველობაში, იმატეს ვეპარაღებმა“ და ბანკის ოპერაციები ისე გაფართოვდა, რომ ერთ დროს წაქეული ბანკი, დღეს ფეხზედ სდგას. გვაპატიონ ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკის ყოფილმა ინტელიგენტმა წევრებმა, მაგრამ საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მათი წასვლა ბ. ბ. დათეშიძის მოსვლით არ არი გამოწვეული. როგორც საზოგადოთ ჩვენში მიღებული, როცა ქართველ ინტელიგენტის ბანკებთან აქვს საქმე, ერთადღარობი დასაძინებლათ მილიოდეს. ეს მხოლოდ ძველ საქართველოში იყო ასე. გულწრფელათ ვურჩევთ ყველა ქართველს გადიკითხოს გერმანელ პრაფესორის ბერნჰარდის წიგნი „ბრძოლა პოლონელებისა“ და სხვა, სადაც მოთხრობილია პოლონელ მოღვაწეთა ვოვინიაციის და სხვათა მოღვაწეობა. ვოვინიაკი სახალხო მოღვაწე იყო, არსებდა ბანკებს და ებრძოდა

გერმანელების გავლენას პოზნანში, სიკვილიის შემდეგ დიდი ქონება დაიბა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი უმეტესი ნაწილი დაიბრუნდა. ქართველი კაცები უნდა იტანს. ჩვენის აზრით ასეთ პსიხიკასაც უნდა სასტიკი ბრძოლა გამოვეცხადათ.

ბარამი.

ახალი აზრები.

როგორც მკითხველებმა იციან ქუთაისის წყალსადენის შენებას უკვე შეუდგენ. გეგმა შედგენილია შემდგენიარათ: წყალს გამოიყვანენ ოქროპირ და მიხილკანდელაკის ვეზოდან—რომელიც ქუთაისიდან 29 ვერსის მანძილზედ იმყოფება ნაქერალას კალთაზე. წყლის მილი გამოიგლის შემდეგ ადგილებს: წყნორს, გურნას, ანტორიას, ნაძუსა, მანდიკორს, კურსებს, გელაოს, მოწამეთას და ლარსეტს (ქუთაისის განაპირას). მილი გამოჰყვება უმთავრესად გზის ნაპირს და მხოლოდ აქაიქ თუ შეუხვევს მანძილის შესაპოკლებლათ. გეგმის შესასწორებლათ მოუღიანთბილისიდან ინკინერ ქურდიანს და სხვ ინკინერი ქურდიანი ქუთაისში 24 ამ თვის ჩამოვა. 25 მაისს კი ქალაქის მოუზრავი ი. ჩქოვანი, ხმოსნები და ინკ. ქურდიანი ნაქერალისკენ გასწვენენ.

ორშაბათს, 18 მაისს, ქალაქის თეატრში შესდგა სალიტერატურო სლამო. სლამოს ხალხი ბოლომთ დაესწრა. კარგი იყო ჰაიდარ-ბეგ-აბაშიძე, რომელმაც წაიკითხა „როდის გავიგე რომ მე ქართველი ვარ“. ბ. აბაშიძე საზოგადოებამ ტაშის ცეხით დააჯილდოვა.

თფლისში 24 მაისიდან გამოვა, სანდრო შამაშვილის რედაქტორობით ახალი გაზეთი „საქართველო“.

ბ. გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა ქალაქის საბჭოს მიერ გადიდებული ნიხრი მეეტლებზე. ნიხრი გადიდებული ამ რიგით ხუთი შაურის ნაცვლათ, ექვსი შაური და 6 შაურის ნაცვლათ 7 შაურის. საათში კი 14 შაურის ნაცვლათ ოთხი აბაზი.

ორ შაბათს, 18 მაისს, ქალაქის თეატრში მარტოვლობის დარბაზში შესდგა ქალაქის საბჭოს კრება. საბჭომ ამ კრებაზე განიხილა მდგომარე წლის ქალაქის სავარაუდო შემოსავლის ხარჯთაღრიცხვა. ქალაქს ამ წლისწინა ხარჯთაღრიცხვის მიხედვით შემოსავალი ექნება 521,000 მან. კრებამ ხარჯთაღრიცხვა დაამტკიცა. გუშინ, 19 მაისს, დანიშნული იყო საბჭოს კრება გასავლის ხარჯთაღრიცხვის განხილველათა და დასამტკიცებლათ.

ქალაქის საბჭოს შემდეგი კრება, მოხდება 26 მაისს.

ამ დღეებში ქუთაისში გაიმართება გრიგოლ რობაქიძის სლამო.

ქალაქის საზოგადო სასწორთან კიდევ დიდი უსუფთაობაა და მეტად ცუდი სუნი სდგას. კარგი იქნება რომ ქალაქი ამ გაერმოვებას ყურადღებას მიაქციდეს და სასწორთან ერთს ან რამდენიმე მისადგომ ადგილს გააკეთებდეს, რომ სოფლიდან ჩამოსულ გლეხებიდან სისუფთავე იყოს დატული.

ქალაქის სანიტარმა შავგულიძემ უსუფთაობის გამო პოლიციის ქუზაზე ოქმის შეუყენა აბაზა გიორგის ძე კაზაროვს.

როგორც სოფ. ჯვარისადგან (ოკრიბა) გვეყვება, იქ განზრახვა ჰქონიათ დაარსონ ამ მოკლე ხანში უფსოა წიგნსაკავ-სამკითხველო. ამვე საზოგადოებაში არსებენ წერილი კრედიტის ამხანაგობას.

22 მაისს ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილება გაარჩევს ვლადიმერ წერეთლისა და სხვების საქმეს.

მწვანე ყვავილაში ამ ყმათ თითქმის არც ერთი ფრანი არ იხილება. სიმწვანე და ქუჩების უვარგისობა მიხვობრებულეს ცუდ მდგომარეობაში აკლებს. კარგი იქნება, რომ ამ გარემოებას ქალაქის გამგეობა ყურადღებას მიაქციდეს.

ამ ყმათ ქუთაისში სამხედრო ბეკარის მოსახლეობა იწვევენ ბალდადის რაიონის ახლგაზღვებს. ახალი ჯარის კაცების გაწერა ხდება ქუთაისის თავ. აზ. მხარის წინამძღოლის თავ. გ. ერისთავის თავჯდომარეობით.

როგორც ვაგივეთ ამ მოკლე ხანში ქუთაისის გუბერნიის ყველა მხარეში შეუდგებიან სანიტარულ რაზმების შედ-



გენას დაკვირვებად ჯარის კაცების მოსაველე-
ლოთ. რაზმების შედგენა სათანადო მთავ-
რობისაგან ევლება მარტოების თავად-
ანაურთა წინამძღოლებს. მხოლოდ რაზ-
მი შემდგარი უნდა იქნეს დაკვირვებად ჯა-
რის კაცებისაგან.

**ქუთაისის თავაზანაურთა სახელმწიფო-
მაძულთა ბანკის წლიური კრება.**

18 მაისი.

კრება დაიწყო საღამოს 8 საათზე თავმჯ-
თავ. კრება ამაშივე წინადადებას იძლევა
განგრძობა კომითი ზედ. კომიტეტის მოხ-
სენებაში აღნიშნულ შემოსევებზე.

ოღ კავაძე ეხება საპენსიო კასის კო-
მიტეტისა და პენსიონერის დ. ჩიკვაძის
შორის დავას და თხოულობს ზედ. კომი-
ტეტისაგან ამის შესახებ თავის აზრსა და
დასკვნას.

თავ. ს. მიქელაძე (ზედ. კომ. თავმჯ.)
დღ. კომიტეტის დასკვნა და აზრი მოყ-
ვნილია თვით მოხსენებაში.

თავ. მ. ფაღვაჯ (გაგ. თავმჯლდომარე)
აღნიშნავს საქმის ისტორიულ მხარეს:
შარშანდელი კრების დადგენილების თა-
ნახმათ დ. ჩიკვაძის საპენსიო კომიტეტ-
მა შეუწყვიტა პენსიის მიცემა 900 მან.
საინფორმაციო აღმარა მომრიგ. მოსამართლესთან,
სადაც ჩვენ წავაგეთ. საქმე გადავიტანეთ
ოლქის სასამართლოში. მაშინ თვით მო-
პასუხებ ჩვენ თხოვნით მოგვმართა თქვენ-
გან საქმის მოგება შეუძლებელია და ტყუ-
ლა ერთმანეთს ნუ შეგაწუხებთ და მოვ-
რიგდეთო. იურისკონსულტის დასკვნით
საქმის მოგება მართლა ძალიან სავსეა
იყო. ჩვენც მოურავდით წილიწაღშა 800
მანეთით ნაცვლათ 900 მანეთისა და ეს
მორიგების ხელ შეკრულება თვით სასამარ-
თლომ დაამტკიცა და საქმეც მოსპო. ახ-
ლა კანონის ძალით ამის შეცვლა არ შე-
ძლებია.

ო. მესხია. მე იურიდიული ნაწილი არ
მიყვარს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ დიდმი-
წილობაში გაგრძელებულ განაგაში პი-
რადი ინტერესებითა გამოწვეული. მას
ეს პენსია სინდისითა და პატივით ნებით
აქვს დასახსურებელი. საქმეც მორიგებით
გათავებულა. რაღა აქ სალიბარკო?

თავ. კავაძე. ჩვენ პირადი ინტერესები
გვაღალატარაკებს, არამედ, რაც ზედ. კო-
მიტეტის მოხსენებაში აღნიშნულია, იმა-
ზე ვალდებული ვართ ვილაპარაკოთ. შარ-
შანდელ კრებაზე ჩვენ უარ ვყავით ბნ-
სკვიდისათვის ამდენი პენსიის მიცემა
სათუღად იმით, რომ მას ეს არ მეთუ-
ნება და რაც კაცს ეკუთვნის მე ამის
წინააღმდეგ არას დროს არ ვიქნები,
მხოლოდ საქირა იყო, რომ ეს საქმე მო-
რიგებით არ გათავებულყო. თქვენნი გან-
ცხადება ბატონო მესხო, უსაფუძვლოა, მე
ბ. ჩიკვაძისთან პირადი არაფერი მაქვს.

თავ. ს. მიქელაძე. საქირა იყო მოცუ-
ლათ კრებისათვის, მოგხსენებით საქმის
გათარება და შემდეგ კრების სანქციისა
ბნ ჩიკვაძისათვის საქმე აა თუ იმ სახით
გათავებინათ.

თავ. მ. ფაღვაჯ. როცა შარშანდელმა
კრებამ გადაწყვიტა ბნ ჩიკვაძის 900 მ.
ზე მიეცემა, მას მაშინ იურიდიული
მართა და მოსაზრებით არ უხელმძღვ-
ნებობია. ჩვენ-კი როგორც სასამართლოს
ქნამე მოპასუხერი, ვინელმძღვანელებთ
იურიდიული თვალსაზრისით.

ს. ხაჯაყვანიშვილი. ეს საპენსიო კომი-
ტეტის საქმეა. ეხება საპენსიო კასის და
რა ბანკს.

კრება დაკმაყოფილდა როგორც ზედამ-
ხედული კომიტეტისა, ისე გამგებობის
რისხებით.

ო. მესხია. ეხება საიურისკონსულტო
განყოფილების ანგარიშს. კრიტიკას უყე-
ობებს იურისკონსულტთა მოქმედებას და
შემახსოვრებას: საქირა ამ განყოფილების შტა-
ტი შემცირდეს. ორი იურისკონსულტის
მაგიერ ერთი კმარაო.

ს. კონიანი. ღმერთმა ჰქნას, რომ ჩვენ
რც ერთი იურისკონსულტი არ გვექ-
ნოდეს, მაგრამ ამას საქმე თხოულობს
და მესხის წინადადება მისაღები არ
არის.

ს. ხაჯაყვანიშვილი. ანგარიშიდან სჩანს,
რომ 215 საიურისკონსულტო საქმე ყო-
ფილა 315 ათასი მანეთის ღირებულო.
ეს აუარებელი საქმე, რომ სხვა და სხვა
იბრებს ჩაუვლოთ ხელში, ერთი ათად
შტა დაგვიჯდება და ბ. მესხის წინადა-
დებას არავითარი საფუძველი არა აქვს.

დ. კვიციანი. (უფროსი იურისკონ-
სულტი) მე არ შეგებები ამ განყოფილე-
ბის შტატის შემცირების საკითხს, ეს
ჩემი საქმე არ არის, მხოლოდ საქირათ
მიმართა კრებას განუმარტო საქმის ნა-
დვლი მდგომარეობა და ჩემს ანგარიშში
აღნიშნული ვითარებანი. კრება ბნ კვიცი-
ანელას მოკლე განმარტებასაც კმაყო-
ფილდება.

თავმჯლდომარე თავ. კ. ამაშივე წინადადე-
ბას იძლევა: ვისაც სურს ო. მესხის წი-
ნადადება მიიღოს—ორის მაგიერ ერთი
იურისკონსულტი ვიყოლიოთ—ფეხზე წა-
მოვდევითო.

თავადი იასონ გელოვანი, დ. ჩიკვაძე
და ო. მესხია წინააღმდეგნი არიან ფეხზე
წამოვდომით საკითხის გადაწყვეტისა,
თხოულობენ ფარული კენჭის ყრას.
კრების დიდ უმრავლესობას საქმე გა-
მორკვევლათ უმარჩნია.

ს. კონიანი. წინააღმდეგია თავმჯლდო-
მარის ასეთი წინადადებისა. მოგვყვინდა
ამდენი უსაფუძვლო ლაპარაკო.

ო. მესხია ადგილიდან ყვირის.
თავმჯლდომარე ზარს რეკ. ყვირილი...
ზარი...

ო. მესხია. ადგილიდან. ღმერთმა მო-
მასწორო, რომ კრინიციმ იარალი დაჰყა-
რა. აქამდე თქვენ ვაზარობდით, ახლა-კი
ჩვენ ვაზარობთ... კიდევ ო. მესხის ყვი-
რილი—თავმჯდ. ზარი.

სოფ. წერეთელი. ყოვლათ შეუძლებე-
ლია ერთი კაცის ბრძანებას დავემორჩი-
ლოთ და უბრალო, ნათლათ, გარკვეულ
საკითხს ამდენი დრო მოვახმაროთო.

ს. კონიანი. თავმჯლდომარეს ყურადღე-
ბა არ უნდა მიექცია ო. მესხის წინადა-
დებისათვის.

თავმჯდ. კ. ამაშივე. თავმჯლდომარისთვის
კრების წვერთა შორის განსხვავება არ
არის. ჩემთვის ყველა წვერი ერთგვარ
ღირებულებას წარმოადგენს. როცა რი-
მელიმ მათგანი რაიმე წინადადებას იძ-
ლევა, მე ვალდებული ვარ კრებას გა-
დასაწყვეტათ წარუდგინო.

ს. კონიანი. თხოულობს ეს საკითხი
გადავიტანო განსახილველათ ზედამხედველ
კომიტეტისა და გამგებობას შეერთებულ
კრებას და მოხსენდეს შემდეგ კრებას.

თავ. მ. ფაღვაჯ. როგორც კომიტეტმა
ისე გამგებობამ მოვახსენათ თავისი აზრი,
რომ ო. მესხის წინადადება უსაფუძვლოა.
ახლა თქვენნი საქმეა.

ქეიმი დ. ნასარაგია. ყველაფრის კომი-
ტეტის და გამგებობისთვის გადაცემა
შეუძლებელია. საკითხი გამორკვეულია
და ფაქტურად გადაწყვეტილიც.

კრებამ ამაზე ლაპარაკი შეწყვიტა.
საკითხი დაისვა შავი ზღვის პირა ად-
გილებში სესხის გაცემის შესახებ.

გამოვდა და კრებას დაესწრო ბევრი ხალ-
ხი და, როგორც შემდეგ თვით კრების
მიმდინარეობამ დაამტკიცა, ხალხი, ძა-
ლიან დაინტერესდა შემოსენებელი სა-
კითხით. კრებამ მოისმინა ექვმ ლევა-
ს მოხსენება და, ხანგრძლივ ბეჭდის შემ-
დეგ, თითქმის ერთხმად მიიღო მოხსენე-
ბის ყველა დებულება და ამ ნიადა პრინ-
ციპიულად გადასწყვიტა ხელი შეუწყ-
ყოს ინიციატორს ამ დიდად სიმპატიურ
და სასარგებლო საქმის განხორციელება-
ში. სხვათა შორის იყო მიღებული—შე-
დგარიყო კომისია, რომელსაც დაევალე-
ბოდა საკითხის დეტალურად განხილვა,
დათვლიერება დი შემდეგი კრებისათვის
მოხსენების წარმოდგენა. კომისიაში აირ-
ჩიეს, რა თქმა უნდა, მკვლევ და გაგე-
გაგებული წევრები. ექიმები, მარხის უმ-
ფროსი მარშალი და რამდენიმე სხვა საქ-
მისათვის დიდად გამოსადეგი პირი. არჩე-
ულმა კომისიამ დათვლიერება, რამდენა-
დაც შესაძლებელი იყო, შეისწავლა სანა-
ტორიუმისათვის ამორჩეული ადგილი, სა-
ხელდომ „შოვი“ და წარსული (1914)
წლის ზაფხულში მიწვეულ სავირო კრე-
ბას წარუდგინა ვრცელი მოხსენება. კო-
მისიის დასკვნით, „შოვი“ ყოველმხრივ
შესაფერი გამოვდა სანატორიუმის დასა-
არსებლად და ამაზეც მეტი—კომისიაში
მყოფ ექიმების სიტყვით, „შოვზე“ თითქ-
მის იდეალური პირობებია შესანიშნავი
სანატორიუმის შესაქმნელად. კრებამ მი-
იღო რა მხედველობაში აღფრთოვანებუ-
ლი აღწერა, „შოვისა“ კომისიის წევრე-
ბისა, მათი ერთსულოვანი დასკვნა, რა
თქმა უნდა, გადასწყვიტა მიემხროს კო-
მისიის გადაწყვეტილებას ადგილის შესა-
ხებ და მიიღო წესდება, რომლის ძალი-
თაც ფუნდებოდა რაჟა-ლესხუში დამხე-
რე საზოგადოება „შოვზე“ სანატორიუ-
მის დასარსებლათ და მის სახელმძღვანე-
ლოდ. საზოგადოების საწარმოვე თანხა
უნდა შემდგარიყო საწვერო გადასახდე-
ლისაგან (შ. მ. წელიწადში) და შემოწი-
რულებებისაგან. განსაკუთრებული იმედი
ჰქონდათ ამ უკანასკნელი სტატიისა და
საზოგადოებ ჩვენი და რუსეთის ქველმოქ-
მედებისა, რომელნიც, იმელოდენ, არ
დაზარებენ საპატიო წევრებად ჩაწერას,
რისთვისაც საქირა იყო არა ნაკლები 100
მანეთის ერთდროულად გადახდა.

ეს წესდება ახლა უკვე დამტკიცებულია
მთავრობისაგან, მაგრამ, სამწუხაროდ, რო-
გორც სხვა დროს და სხვა საქმეში... ჩვე-
ნი საქმიანობაც ამით გათავდა, თითქო
მიზანი ყველა საზოგადოებრივი კრებისა,
აღფრთოვანებული სიტყვებისა და მრავა-
ლი კომისიისა წესდების დამტკიცება იყო.
მარტო სიტყვითა და სურვილით რომ
რამე კეთდებოდეს, ჩვენზე მდინერი არა-
ვინ იქნებოდა. ყველა ჩვენთაგანი ლაღობს
ხალხის გაბედნიერებას და მხოლოდ არის მიე-
რთი თავისი ძალიან საქმის შედეგის...
მაგრამ გადაწყვეტილება უცხად ჰქრება,
ვით ღრუბელი მზის წინაშე, როგორც კი
ჯერი რეალურ მოქმედებაზე მისდგება.
რაჟაში სანატორიუმის საკითხს დაგმართა
სწორედ ის, რაც მრავალ სხვა საკითხს
დამართნია ჩვენს უბადრუკ პირობებში.
რა თქმა უნდა საქმის ჯერ-ჯერობით ამ
ნიათ დაბოლოვებას ხელი შეუწყუო რამო-
დენიმე ჩვენი დღის უსაშინველესმა ტრა-
დელიამ (ომმა), რომელმაც ჩვენზე ბევ-
რათ უფრო საქმის ხალხებს ბევრი დიდ-
მნიშვნელოვანი საკითხები განზე გადა-
დებინა.

განვლო დრომ და ბევრი რამ აუცილე-
ბელ საქმედ თვით ამ მიმდინარე პირო-
ბებში წამოაყენეს წინ. ამ საქმეთა რიცხე-
ში არის სხვათა შორის საკითხი: „სამ-
შობლოს საქმურნაო ადგილების გაუმ-
ჯობლება-გაუარათობება“. მითხველია უწყ-
ყის, რომ ამ საკითხით ახლა დაინტერე-
სებულია თითქმის მთელი რუსეთის საზო-
გადოება, რაც ნათლად დაამტკიცა წარ-
წარსულ იანვარში პეტროგრადში შემდ-
გარმა კრებამ. ამ კრებაზე მიღებული რე-
ზოლიუციები მოწმობს, რომ დღეს ზე-
მოხსენებულ საკითხს საზოგადოებრივ-
სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს მი-
ცემულია. ახლა ჩემი მიზანი მხოლოდ მი-
ვითითო „შოვის სანატორიუმის“ ინიცია-
ტორებს რამდენიმე საყურადღებო მუხლ-
ზე პეტროგრადის კრების დადგენილებათა
შორის და მოვაგონო მათ, რომ დღევან-
დელი ვითარება შესაძლებლოდ ჰქმნის სა-
ნატორიუმი „შოვზე“ ფაქტად იქცეს ამი-
ტომ საქირაო ოცნებების სფეროს მიტო-
ვება და „მოსაწყენი საქმის ზურგზე აკი-
დება“.

აი ეს მუხლები:

სანატორიუმი ზამო რაჟაში.

ეს მესამე წელიწადია მას აქით რაც
დაბა ონში ექიმ შამშე ლევაფის ინიცია-
ტივით და რამდენიმე გავლენიანი პირის
დახმარებით მოწვეული იყო თითქმის ყვე-
ლა შეგნებულ-განათლებული რაჟველი
კრებაზე, რომელზედ უნდა განეხილათ
ფრიად საგულისხმო კულტურული საკით-
ხი-სანატორიუმის დაარსება ზემო რაჟაში.
ინიციატორის მოლოდინი უსაფუძლო არ

1. რომ შემსუბუქდეს პირობანი ფი-
ნანსიური დახმარებისა რუსეთის სამკურ-
ნალო ადგილებისთვის, სასურველია და-
წყებებოფი აღმოცენება ხაზინის საკუ-
რთრეო წარმოებისათნ ერთად სასოგად-
გებოფი და კერძო კომერციული წარმოებისაც
(კურსივი ჩვენია მ. გ.)

2. სამშობლოს სამკურნალო ადგილე-
ბის საქმის გასაუმჯობესებლოდ და გასავი-
თარებლოდ სახელმწიფომ უნდა გადოს
უხვი ხარჯი.

3. საქირაო გადათვლიერებულ იქნას
კერძო დაწესებულებათა გრძელვადიანი
კრედიტის წესდებანი ამ მიზნით, რომ
შესაძლო იქნას სესხის მიცემა კერძო სამ-
კურნალო დაწესებულებათა წარმოების (OT-
дѣльных лѣчебных предприятий)
სახსრანა, კერძო და სხვა თვითად აღებულ
ადგილებზე დასაარსებლოდ (P. B. № 7)
(კურსივი ჩვენია მ. გ.)

ჯერ ნადრევი იქნება, რა აკვირვებია,
გადაწყვეტილ ვთქვათ, რომ ყველა დედ-
გენილება პეტროგრადის კრებისა დაუ-
ყენებლოდ განხორციელებული იყოს და
და ამავე მიზანით ცხოვრებაში გატარე-
ბული. ყველა იმ პირობის მიხედვით, რა-
მელიც ჰქმნის ამ საკითხის გარშემო სა-
ზოგადოებრივ ინტერესს, დღეს მხოლოდ
ერთად ერთი დასკვნა შეგვიძლია გამოვი-
ყვანოთ: საზოგადოებაც და მართებლო-
ბაც ფართო დახმარებას აღმოუჩენს ყო-
ველივე ნაბიჯს, რომელიც აქეთაქენ იქნე-
ბა გადადგმული. ამიტომ ზემო რაჟაში
სანატორიუმის დაარსების ინიციატორები
დღევანდელ უნდა შეუდგენ წინასწარ მუშაო-
ბას და ნადავს შემსუბუქდეს საქმის სა-
სურველად დაბოლოებისათვის. თვით ეს
საკითხი კი, ვგონებ, არ არის ფართო სა-
ზოგადოებრივ მნიშვნელობას მოკლებუ-
ლი, ვინაიდან იგი საწარმოადგენს ნაბიჯს
ორ მხრივ ჩვენთვის საყურადღებოს. პირ-
ველი ის, რომ სანატორიუმის უმთავრესი
დანიშნულება იქნება ბრძოლა კაცობრიო-
ბის ერთ უსაშინველეს მტერთან—ქლიქ-
თან, რომლის წინააღმდეგაც ფართო სა-
ზოგადოებრივ ბრძოლა დღეს მთელი კაცობ-
რიობის შეგნებულ ნაწილს ლოზუნგად
აქვს დასახული. მეორე,—სანატორიუმის
დაარსება იქნება წინააღმდეგობა პრა-
კტიკული ნაბიჯი ჩვენი ქვეყნის ღვთისაგან
ნაბიჯები სიმღერეთა შესაფერად მოხმა-
რებისკენ. ყველასათვის ცხადია, რომ მე-
დიკინის (კერძოდ ტერაპიის) სხვა პირო-
ბებში ჩვენ ქვეყანაში უკვე ყოფილებოდა
ფეხზე დაყენებული ამისთანა მძლეობის
ფაქტორები, როგორც მისთვის არიან:
პაფი, შვე და საუკუნელო წყლები. დღეს
კი მრავალნაირი ჩვენი შვე, თითქმის მთე-
ლი წლის განმავლობაში უხვად მნათობი,
და მათობში მზე და აურაცხელი თვისებე-
სა და შედგენილობის წყლები ჩვენითვის,
რომ იტყვან, მკვდარ კაპიტლს წარმო-
ადგენს.

რამდენიმე სიტყვა თვით „შოვზე“. სა-
ნატორიუმისთვის არჩეული ადგილი „შო-
ვი, მდებარეობს ზემო რაჟაში, სოფელ
აგლოას მახლობლოდ (3 ვერსი), სამხედ-
რო ოსეთის გზაზე, ქუთაისიდან 137 ვერ-
სის მანძილზე, მამისონის უღელტეხილი-
დან კი 21 ვერსზე, რომლის მარცხენა
ნა შენაკილის, ჰანჯახის, მარჯვენა ნაპირ-
ზე. სამხედრო ოსეთის გზა მიუყვებო ჰან-
ჯახის მარცხენა ნაპირს, ასე რომ სანა-
ტორიუმი გზის მტვერისაგან და მათრო-
ბისაგან უზრუნველყოფილი იქნება. სი-
მალოდ „შოვი“ ზღვის ზედაპირიდან იქ-
ნება დაახლოვებით 6000 ფუტამდე, ეს
არის ვაკე და სუფთა ადგილი და სივრ-
ცით 20 დეკტერინამდე. დანარჩენი ადგი-
ლი არის მშენიერი ფიქვარი და ნაძე-
ნარი ტყით შემოსილი. მთელი ეს ადგი-
ლი წარმოადგენს ჰანჯახის ეკობას, რა-
მელიც დატულია ყოველმხრივ ქარებისა-
გან მაღალი კავასონის მთებით, უმეტე-
სი ნაწილი მკენარებისა სუბალპურიო.
იქვე „შოვზე“ არის რამდენიმე საკურნა-
ლო წყალი (углекисло-щелочный-же-
лѣзный, съ большимъ выдѣлениемъ
свободной углекислоты, сѣрный и
желѣзный источники). ერთი სიტყვით,
ეს ადგილი ყოველმხრივ უხვად არის ბუ-
ნებისაგან შემკობილი და, მართლაც, ძენ-
ლი წარმოსადგენია სხვა ამითანა ადგი-
ლი სანატორიუმისათვის.

8. გავაშული.

მკირე შენიშვნა.

ზსუსხად ბ. ძველ ჰედაგოგს.

გაზეთ „სამშობლოს“ № 79—ში დაბეჭ-
დილია მეფელი ჰედაგოგის“ ფსევდონიმით
ვრცელი წერილი ბ—ნ ს. ოცხელის ახა-
ლი წიგნის „Новое Слово“—ს შესახებ.
მართლად მოვახსენათ იგი ხსენებული
წიგნის გულდასმით ჩაჩვენა კი არა,
არამედ უბრალო ლაპარაკია, რომელიც სა-
განს სრულიად ვერ არკვევს, მთ უმეტეს,
რომ ბ—ნ ს. ოცხელის „ახალი მეთოდი“
უცხო ენის სწავლებისა უფრო მეტს ყუ-
რადლებას, სიფრთხილით აწონ-დაწონ-
ვას, სამართლიანს კრიტიკასა და სწორი,
უტყუარი მსჯავრის დადების მოითხოვს
და არა ცალწრივ განჩვენას, მარტო ხოტ-

ბით მოხსენებას, რაც ჩვენში შეგვი-
კითხს სასურველად ვერ გააზრტებს.
ამ ემათ არ ვებებთ ბ—ნის ს. ოცხე-
ლის ნაშრომის მართლა ღმერთისა
ფასებას; აზრად გვაქვს ანუ ღმერთისა
განსაკუთრებულ წერილი ვუწოდებთ
და კიდევ შევეცდებით სრულიად მიუღ-
ვლოდ, ობიექტურად შევეხიოსაკითხს,
რაც უფრო სასურველად და საქმისთვი-
საც სასარგებლოდ უნდა მიგვიჩნდეს.

ახლა—კი არ შეგვიძლია უყურადღე-
ბოდ დავსტავოთ ბ—ნი მეფელი ჰედაგო-
გის“ ის უმართებულო წენიწებები, რა-
მელიც მან უძღვნა განსაკუთრებით გან-
სვენებულის იაკობ გოგებაშვილის „Рус-
ское слово“—ს, რომელიც მას მიანი-
ა მხოლოდ „თარგმნი მეთოდზე“ აგებულ
სახელმძღვანელოდ და ამიტომ „ვერ აკ-
მაყოფილებს ჰედაგოგის საღს მოთხოვნი-
ლებასო“. ამ აზრში არც ერთია მართა-
ლი და არც მეორე. ყველა საქმეში ჩვენ-
დული მასწავლებელი დაგვეთანხმება, რომ
გოგებაშვილის მეთოდი მარტო „თარგმ-
ნითა“ მეთოდი არ არის; იგი დამყარებუ-
ლია ფართო თვალსაზრისით—ბუნებრი-
ვი მეთოდის ერთად ერთს ღირსებაზე და
საქირა შემთხვევაში დედა ენის დახმარე-
ბაზედაც, როგორც საუკეთესო იარაღზე
ამა თუ იმ ცნების შეგნებით შეთვისე-
ბისთვის, რომელიც ხელს უშლის ბავშ-
ვის თავიდანვე სულით გადაგვარებას.

ამ სახით თვალსაზრისობა, დედა ენის
დახმარება, ცოცხალი საუბარი და სხვა
საშუალება იმდენად შეუხვედრელია „Рус-
ское слово“—ში, რომ მისი ცალმხრი-
ვად მონათვლა და მხოლოდ „თარგმნი“
მეთოდზე აგებულად დასახვა ყოველ სი-
მართლეს მოკლებულია. წიგნში ერთი
ჩახედვითაც—კი ადვილად მიხვდება ყვე-
ლა, რომ დავითოვლად განყოფილებას
„Русское слово“—ში პირველ ადგილ-
ზე თვალსაზრისობა უნდა, მგ. ლექსიური
განყოფილება—„наглядно—перевод-
ный способ“ ე. ი. აქ ორივეა დატუ-
ლი და არა მხოლოდ „თარგმნი“თ, პირ-
იქით თარგმანს თვით ამ განყოფილებაში
მეტის მეტად მკირე ადგილი აქვს დათ-
მობილი ანაცვე ხედავთ ანანშიაც
და იმ განყოფილებებშიაც, რომელთაც
სათაურად აქვს „уроки на основѣ
предметной, а не рисуночной нагляд-
ности“ და სხ., სად არის აქ მარტო თარგ-
მნითი მეთოდი?

შემდეგ ბ—ნი მეფელი ჰედაგოგი ამბობს:
„მე თვითონ მქონდა შემთხვევა მესწავ-
ლებია ბავშვებისათვის რუსული ენა თარგ-
მნით მეთოდით(?) ო. გოგებაშვილის „Рус-
ское слово“—თი და უნდა გამოვტყდე,
რომ არას დროს არ მოეძებნია ისეთი სიძ-
ნელი და მუწუხება (?), როგორც ვიგო-
რის ამ მეთოდით ბავშვების მოხდალებაში.
ამკარად ვხედავთ ამ წიგნის და ამ მეთო-
დის უფარვისობას, მაგრამ ვერაფრით ვმე-
ლოდი საბრალო ბავშვებს, ომეკლთაც სა-
შინლად ბუზრდებოდათ აეთი სისტემი-
სწავლება, პიოდაპიო სტუდლთ საგანი“
(სამშობლო № 79).

ზემოთ დავიხახეთ, რომ ბ—ნ მეფელ
ჰედაგოგს“ ვერ შეუძნია გოგებაშვილის
მეთოდის ღირსება და სწავლების დროს,
ადვილად, საქირა იქნებოდა თუ არა, ყო-
ველს სიტყვას უღებავდა და უთარგმნიდა
ბავშვებს, ე, ოაკვირვებია, უკიდულე-
სოაა, მოსაწყენიც იქცება და მუყააა-
მობაც, მაგრამ უნდა მოვახსენო ბ—ნ
მეფელ ჰედაგოგს“, რომ ყოველი მეთოდი
თავისთავად მკვდარია, მისი გამსოცსლე-
ბელი წიგნი კი არა, მსწავლებლის პი-
როვნებაა; მასწავლებლის უნარზე დამო-
კიდებული უსულოს სული ჩაუღვას, გა-
ძოაცოცხლოს და ბავშვების სახლიოად
გახადოს.

ჩვენც ვსწუხებართ, რომ ბ—ნი მეფელი
ჰედაგოგი“ ძლიერ შეუწუხებია გოგება-
შვილის წიგნს, საცოდავი ბავშვებიც კი
დაუტანჯავს, რაც უფრო სამწუხაროა,
მაგრამ ამაში ბრალი გოგებაშვილს არ
მიუძღვის, რაშიც დაგვეთანხმეთან ძვე-
ლი თუ არა ახალი ჰედაგოგები მაინც.

ისეთი ჰედაგოგს, ომელიც მეთოდს
ვერ არჩევს წიგნში, ვერც „Новое Сло-
во“ უმეფლის, არა იმიტოა, რომ „ახა-
ლი დღეოა ძველს თხოვრში არ ჩიისხისა“,
არამედ იმიტოა, რომ „სიტყვების აზრ-
თან დამოკრება და ცალკე სიტყვების გა-
ხეპირება, „Новое Слово“—ში უფრო
მეტრ სჩანს, ვიდრე მეფელი ჰედაგოგის“
მეთო თვალუხუხებულს გოგებაშვილის
წიგნში.

ლ. ბოცვაძე

რედ. გამომც. ო. შ. ცინცაძე.

